დამკვეთის მონაცემები: გოეთე ინსტიტუტის ფილიალი საქართველოში ადმინისტრაციის განყოფილება ზანდუკელის ქ.16 0108 თბილისი, საქართველო	პასუხისმგებელი პირი: სოფიო მდივნიშვილი-გრიზე ტელ.: +995 -2938945 (701) ელ-ფოსტა: Sophia.Mdivnishvili-Griese@goethe.de

ღია ტენდერი გოეთეს ინსტიტუტის ცოცხალი ძალით დაცვის მომსახურების შესახებ

გოეთეს ინსტიტუტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელს მსოფლიოში მოქმედი კულტურის ინსტიტუტია, რომელიც ხელს უწყობს გერმანული ენის შესწავლას და საერთაშორისო კულტურულ თანამშრომლობას. ამასთან ერთად, ინსტიტუტი გადმოსცემს სრულყოფილ სურათს გერმანიის კულტურული, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ.

ტენდერის მიზანი

შენობის 24 საათიანი დაცვა ცოცხალი ძალის მეშვეობით. ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეადგენს 2 წელს.

მოთხოვნები:

- შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგის დაცვა და ინფრასტრუქტურისა და საკუთრების სწორი გამოყენების კონტროლი დღისა და ღამის განმავლობაში
- საჭიროების შემთხვევაში, კანონის აღმასრულებელ და სხვა ორგანოებთან კომუნიკაცია (მაგალითად, სახანძრო დეპარტამენტი 112) და მათი დახმარება
- კამერების კონტროლი
- უსაფრთხოების კომპანიის მიერ ღამის ცვლის კონტროლის სისტემის იმპლემენტაცია რეგულარულ კონტროლთან დამატებით
- დაცვის თანამშრომელი ვალდებულია, ინფორმაცია მიაწოდოს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილ წარმომადგენელს სამსახურეობრივი საქმიანობის განხორციელების დროს აღმოჩენილი სამართალდარღვევის შესახებ და უფლებამოსილი პირის მოსვლამდე უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის უსაფრთხოება
- დაცვის თანამშრომელი ვალდებულია, უზრუნველყოს წესრიგი კომპანიის ტერიტორიაძე და დაუშვას ვიზიტორები მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის თანამშრომლის თანხმობის შემდეგ

- დაცვის თანამშრომელი ვალდებულია, უზრუნველყოს წესრიგი კომპანიის ავტოსადგომზე და ეზოში
- დაცვის თანამშრომლები უნდა იყვნენ ფიზიკურად ჯანსაღ ფორმაში
- ცვლაში მომუშავე დაცვის თანამშრომლები უნდა იყვნენ აღჭურვილნი შესაბამისი ეკიპირებით, მათ შორის საკომუნიკაციო საშუალებებით

დასაცავი ობიექტის ძირითადი მახასიათებლები:

შენობა განთავსებულია ზანდუკელის 16 ნომერში. ეს არის 4 სართულიანი შენობა, რომელიც მოიცავს 1200 კვადრატულ მეტრს. ზანდუკელის ქუჩიდან არის ორი შესასვლელი. ეზოში ასევე განთავსებულია ორსართულიანი შენობა, რომელიც დაკავშირებულია მთავარ შენობასთან შუშის კარიდორით.

შენობას აქვს შიდა ეზო.

ძირითადი წესები:

სატენდერო დოკუმენტები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ამ ტენდერის კონტექსტში. დაუშვებელია სატენდერო დოკუმენტების (მათ შორის ამონარიდების) გამოქვეყნება ან მესამე პირისთვის გადაგზავნა შესაბამისი უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე.

ყველა განმცხადებელი ინფორმირებული იქნება სატენდერო განცხადებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის ან შესწორების დამატების შემთხვევაში.

სატენდერო შეთავაზების მომზადების პირობები:

1. **შეთავაზების ფორმა**

სატენდერო შეთავაზება დანართებთან ერთად უნდა მომზადდეს ქართულ ენაზე და გაგზავნილ იქნეს ელექტრონულად PDF ფაილის სახით ელექტრონული ფოსტის მისამართზე: ausschreibung-tbilissi@goethe.de

მეილით გაგზავნილი შეთავაზების შემთხვევაში, გარანტირებულია, რომ ისინი გაიხსნება მხოლოდ დედლაინის ვადის გასვლის შემდეგ.

ცვლილებები და დამატებები სატენდერო შეთავაზებაზე და დანართებზე არ არის ნებადართული და გამოიწვევს ტენდერში მონაწილეობიდან გამოთიშვას.

2. **დედლაინი**

სრულყოფილი სატენდერო შეთავაზება გაგზავნილ უნდა იქნეს არაუგვიანეს **30.11.2024, 23:59 (საქართველოს დროით) PDF ფაილის სახით, რომელიც დაცული იქნება პაროლით.**

პაროლი უნდა გაიგზავნოს დედლაინის ვადის გასვლის შემდგომ დღეს ცალკე მეილის სახით.

გვიან მიღებული დოკუმენტები არ განიხილება, სანამ განმცხადებელი არ დაასაბუთებს, რომ დაგვიანება მისი კონტროლის მიღმა იყო.

შერჩეული კანდიდატის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება და დანარჩენი კანდიდატები ინფორმირებული იქნებიან არაუგვიანეს **15 დეკემბრისა.**

შეთავაზების შინაარსი

სრულყოფილი შეთავაზება უნდა მოიცავდეს:

- **დანართები ყველა შევსებული ინფორმაციით**
- **ფასების კალკულაცია**

  - ✓ **ფასების კალკულაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ლარში საქართველოს კანონით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით. მითითებული უნდა იყოს კომპანიის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი.**

დაუშვებელია ხელშეკრულების პირობების შეცვლა და შესწორება. ასეთი ცვლილებების დამატება გამოიწვევს ტენდერში მონაწილეობიდან გამოთიშვას.

დაუშვებელია მეორადი სატენდერო შეთავაზებები.

სატენდერო შეთავაზება უნდა იყოს სრულყოფილი, მოიცავდეს ფასს და ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას და დეკლარაციებს. არასრულყოფილი სახით წარმოდგენილმა ინფორმაციამ (მათ შორის ინდივიდუალურად მოთხოვნილი დეკლარაციების არარსებობამ) შესაძლოა გამოიწვიოს ტენდერიდან გამოთიშვა.

3. სატენდერო შეთავაზების შესწორება, ცვლილება ან უკან გატანა

შესაძლებელია სატენდერო შეთავაზების უკან გატანა დედლაინის ვადის გასვლამდე წერილობითი ფორმით/ელფოსტის საშუალებით შეტყობინების საფუძველზე.

4. ტენდერის პროცედურა

ტენდერის გამომცხადებელი განიხილავს შემოსულ სატენდერო შეთავაზებებს და დაამუშავებს შესაბამისი კრიტერიუმებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით.

ხელშეკრულება გაფორმდება ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელ შემოთავაზებასთან. საბოლოო გადაწყვეტილება შეტყობინებული იქნება ელექტრონულად. ხელშეკრულება გაფორმებული იქნება იმ პირობების შესაბამისად, რომელიც გაწერილია სატენდერო განცხადებაში. ეს ეხება ნებისმიერი შემდგომი დოკუმენტური დებულების მიუხედავად.

მხარეთა მიერ ხელშეკრულების დოკუმენტზე ცალკე ხელმოწერა დეკლარაციული ხასიათისაა.

5. **შესაბამისობის შემოწმება**

განმცხადებლების შესაბამისობა შეფასდება შემდეგი სავალდებულო შესაბამისობის კრიტერიუმების საფუძველზე:

- ტენდერიდან გამორიცხვის საფუძვლების არარსებობა - დანართი B 5
- დასაქმებულების რაოდენობა - დანართი B1
- რეკომენდაციები - დანართი B 3

✓ **მინიმალური მოთხოვნები - მინიმუმ 3 რეკომენდაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში**

6. **გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები/ ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელი შემოთავაზების შერჩევა**

- ფასი - 50 % ერთი დაცვის თანამშრომლის ყოველთვიური საფასური
- ხელშეკრულების შესრულებაზე გამწესებული თანამშრომლების პროფესიული გამოცდილება - 50%

✓ დაცვის თანამშრომლები უნდა იყვნენ მაღალი კვალიფიკაციის და ჰქონდეთ პასუხისმგებლობის განცდა

7. **განმცხადებლის კითხვები**

ტენდერთან დაკავშირებული კითხვები გაგზავნილ უნდა იქნეს ელექტრონულად შემდეგ მისამართზე ausschreibung-tbilissi@goethe.de **არაუგვიანეს 25 ნოემბრის.**

შესაძლებელია შენობის დათვალიერება წინასწარ შეთანხმებული დროის საფუძველზე. ვიზიტის დროის შეთანხმება შესაძლებელია შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე Ausschreibung-Tbilissi@goethe.de **არაუგვიანეს 25 ნოემბრის.**

ტენდერის გამომცხადებელი არ უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცემას ტელეფონის საშუალებით.

8. **განმცხადებლის საჩივარი**

თუ განმცხადებლის აზრით, შეთავაზების დოკუმენტები შეიცავს შეცდომებს, შეუსაბამოებებს ან ტენდერის პროცედურის რაიმე რეგულაციის დარღვევას,

განმცხადებელმა უნდა აცნობოს ამის თაობაზე წერილობითი ფორმით ელექტრონულად დაუყოვნებლივ და სატენდერო შეთავაზების გაგზავნამდე.

ასეთი ინფორმაცია და პროცედურული საჩივრები გაგზავნილ უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე:

გოეთე ინსტიტუტის ფილიალი საქართველოში

ადმინისტრაციის განყოფილება

ელ-ფოსტა: Ausschreibung-Tbilissi@goethe.de

9. სხვა

კონტრაქტორისადმი გაგზავნილი ტენდერთან დაკავშირებული დოკუმენტები არ იქნება უკან დაბრუნებული და თუ არ არის სხვა რაიმე შეთანხმება, გახდება გოეთეს ინსტიტუტის საკუთრება ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ მოთხოვნილი დოკუმენტები იქნება განხილული და დამატებითი დოკუმენტები არ იქნება მიღებული მხედველობაში.

ტენდერში მონაწილეობისა და დოკუმენტების მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯები არ ანაზღაურდება.